



Sps auditoruli firma `Iazika

auditi~

AUDIT "LAZIKA AUDIT" LLC

q. Tbilisi, gldanis me-3 m/r korp. #13 bina #116; q. zugdidi Tbilisis q. #43; tel.: 599 951074; 595 163728
Tbilisi, Gldani 3 m/r, building 13, Apartment 116; Zugdidi, 43 Tbilisi Str. Tel.: 599 951074; 595 163728

123

10.04.2017 წ.

აუდიტორების წერილობითი ინფორმაცია (ანგარიში) აუდიტის შედეგების მიხედვით

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N45 15.03. 2017 წ. შესაბამისად შპს აუდიტორულმა ფირმა „ლაზიკა აუდიტი“-ის, რომლის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, გლდანი III მკ/რ, კორპ.13, ბინა 116, საიდენტიფიკაციო კოდი 400032674, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 23.12.2011 წელი, #B 12034503 მარეგისტრირებული ორგანო - საჯარო რეესტრი. მთავარი აუდიტორების:

1. ბუკია თამაზი (პ/ნ 19001054047)–სერტიფიკატი № #5/533 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული სამიანობის საბჭოს მიერ 16 მაისი, 2011 წელი. სერტიფიკატი ნომერი 0129 - გაცემული საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ 29.12. 2015 წ.
2. ზარანდია მამუკა (პ/ნ 19001059180) – სერტიფიკატი № #6/150, გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული სამიანობის საბჭოს მიერ 5 მარტი 2012 წელი

მიერ ჩატარდა ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების აუდიტორული შემოწმება.

შემოწმებულ პერიოდში ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულებაზე და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი იყვნენ: მერიის ხელმძღვანელობა და მერიის საფინანსო სამსახური.

ზოგადი ინფორმაცია

ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განისაზღვრება აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობითა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, რომლის თანახმად გვევალება ანგარიშის წარდგენა აუდიტორული ანგარიშგების შესახებ მერიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისათვის.

ანგარიშში აღწერილი ფაქტები ეხება მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც ჩვენთვის ცნობილი გახდა აუდიტის პროცესში. ეს არ არის ამომწურავი ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც შეიძლება ამ სისტემაში არსებობდეს, ან მათი გაუმჯობესების გზების შესახებ.

1. აუდიტორულ შემოწმებას ახასიათებდა შემდეგი თავისებურებანი:

აუდიტორული შემოწმების თავისებურებას წარმოადგენს მერიის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცების, შესრულების და მასში მომხდარი ცვლილებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.

2. მერიის მუნიციპალიტეტის ბუღალტრული აღრიცხვა:

მერიის მუნიციპალიტეტის ბუღალტრულ აღრიცხვას და საბიუჯეტო თანხების შიდა კონტროლს წარმართავს შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახური, რომელიც წარმოდგენილია 2 განყოფილებით სულ 13 სამტატო ერთეულით, სამსახურის უფროსი 1 სამტატო ერთეული, განყოფილების უფროსი 2 სამტატო ერთეული, მთავარი სპეციალისტი სულ 10 სამტატო ერთეული. შემოწმების დროს განხილული იყო:

ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცების, შესრულების და მასში მომხდარი ცვლილებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.

ა) ფუნქციონალური დანიშნულებით ხარჯების მიკუთვნების სისწორე;

ბ) ეკონომიკური დანიშნულებით ხარჯების მიკუთვნების სისწორე;

გ) ორგანიზაციული დანიშნულებით ხარჯების მიკუთვნების სისწორე;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის მოთხოვნების

დაცულობის სისწორე;

ე) სარეზერვო ფონდის ხარჯვის ანალიზი;

ვ) გაწეული ხარჯების მიზნობრიობის სისწორე შესაბამის კანონთან მიმართებაში;

ზ) ბიუჯეტის შედგენა-შესრულების და საბიუჯეტო კანონმდებლობის დაცვის

მდგომარეობა;

თ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა და კანონიერება;

ი) საბანკო ოპერაციების კანონიერება;

კ) ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების მდგომარეობა;

ლ) დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების რეალობა;

მ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა.

3. აუდიტორული შემოწმების მეთოდოლოგია

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად ჩვენ გამოვიყენეთ აუდიტორული პროცედურების შემდეგი ხერხები და მეთოდები: ა) შემსყიდველის გამოთვლების სისწორის შემოწმება (ხელახლა გამოთვლა); ბ) ინვენტარიზაცია; გ) ცალკეული სამეურნეო ოპერაციის აღრიცხვის დაცვის წესების შემოწმება; დ) დადასტურება; ე) შემსყიდველის პერსონალის ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ (მესამე) მხარეთა ზეპირი გამოკითხვა; ვ) დოკუმენტების შემოწმება (დათვალიერება); ზ) დაკვირვება; თ) ანალიზური პროცედურები.

აუდიტორული შემოწმება ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აუდიტორული შემოწმების მსვლელობისას საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება შემოწმდა მთლიანად. შესყიდვის განყოფილება შერჩევით. შემოწმების მსვლელობისას გამოვიყენეთ შერჩევითი შემოწმების შემდეგი ძირითადი პრინციპები. შემთხვევითი შერჩევა და ფულადი ერთეულის მიხედვით შერჩევა.

აუდიტორული შემოწმების შედეგები

საბიუჯეტო სახსრების მობილიზება

2016 წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაზუსტებული საბიუჯეტო შემოსულობების გეგმა შესრულებულია 90.9%-ით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21651.2 ათ. ლარი.

I. შემოსავლები

შემოსავლების ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინეს 21 290.8 ათ. ლარი, რაც გეგმის 99.9%-ია.

მათ შორის:

1) **გადასახადებიდან** შემოსავლების გეგმა შესრულდა 93.7%-ით. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 11713.6 ათ. ლარი. აქედან:

ა) საშემოსავლო გადასახადი შესრულდა 3108.5 ათ. ლარით, რაც 66.1%-ია;

ბ) საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი შესრულდა 7080.2 ათ. ლარით, რაც 111.0%-ია;

გ) უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 10.0 ათ. ლარის მობილიზებას, შემოსავალმა 7.7 ათ. ლარი შეადგინა;

დ) ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი შესრულდა 76.8 ათ. ლარით, რაც 64.0%-ია;

ე) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადიდან შემოსავალმა 19.9 ათ. ლარი შეადგინა, რაც 49.8%-ია;

ვ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი შესრულდა 1420.5 ათ. ლარით, რაც 113.6%-ია.

2) გრანტებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 98.7%-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5626.9 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავალმა 5553.0 ათ. ლარი შეადგინა. აქედან:

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის გეგმა შესრულდა 98.7%-ით, ანუ 5553.0 ათ. ლარით, მათ შორის:

ა) ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერების (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) გეგმა შესრულდა 90.3%-ით, ანუ ფაქტიურმა შემოსავალმა 234.8 ათ. ლარი შეადგინა.

ბ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5366.9 ათ. ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 5318.2 ათ. ლარი, ანუ 99.1%.

3) სხვა შემოსავლების გეგმა გათვალისწინებული იყო 3180.0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4024.2 ათ. ლარი, რაც 126.5%-ია. აქედან:

ა) პროცენტებიდან შემოსავალმა 113.2 ათ. ლარი შეადგინა;

ბ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2593.0 ათ. ლარი შეადგინა, ანუ 152.5%;

გ) მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შემოსავალმა შეადგინა 62.1 ათ. ლარი, ანუ 207.0%;

დ) ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახადებიდან შემოსავალმა შეადგინა 701.0 ათ. ლარი, ანუ 92.2%;

ე) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოსავალმა შეადგინა 33.2 ათ. ლარი, ანუ 66.4%;

ვ) ჯარიმების, სანქციებისა და საურავების გეგმიდან ფაქტიურმა შემოსავალმა 488.0 ათ. ლარი შეადგინა, ანუ 78.7%;

ზ) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან შემოსავალმა 33.7 ათ. ლარი შეადგინა.

II. არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალმა შეადგინა 360.4 ათ. ლარი, რაც 72.1%-ია.

აქედან:

ა) ძირითადი აქტივების გეგმა იყო 100.0 ათ. ლარი, საიდანაც შემოსავალმა 25.4 ათ. ლარი შეადგინა, ანუ 25.4%;

ბ) არაწარმოებული აქტივების (მიწა) გეგმა იყო 400.0 ათ. ლარი, შემოსავალმა კი 335.0 ათ. ლარი შეადგინა, ანუ 83.8%.

საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯვა

2016 წლის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის

გადასახდელები დარგობრივ ჭრილში

I. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2016 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3735.9 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3681.2 ათ. ლარი, რაც გეგმის 98.5%-ია. მათ შორის:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა - დაზუსტებული გეგმა ითვალისწინებდა 3657.2 ათ. ლარის ხარჯს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3606.3 ათ. ლარი, რაც გეგმის 98.6%-ია.

2. კრედიტის (საბიუჯეტო სესხის) სარგებლობისათვის გადახდილი პროცენტი - გეგმა ითვალისწინებდა 68.7 ათ. ლარის ხარჯს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 68.5 ათ. ლარი, ანუ 99.7%.

3. სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯი - დაზუსტებული გეგმა ითვალისწინებდა 10.0 ათ. ლარის ხარჯს, ფაქტიურმა შესრულებამ 6.4 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 64.0%-ია.

II. თავდაცვა

თავდაცვისათვის (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 107.1 ათ. ლარი. გეგმით გათვალისწინებული იყო 117.3 ათ. ლარის ხარჯი, ე.ი. დაფინანსებამ 91.3% შეადგინა.

III. ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური საქმიანობის ღონისძიებები (ტრანსპორტი) დაფინანსდა 99.2%-ით. გეგმით გათვალისწინებული იყო 1822.3 ათ. ლარის ხარჯი, დაფინანსებამ შეადგინა 1807.0 ათ. ლარი. აღნიშნული თანხა დაიხარჯა ქუჩების მოვლა-პატრონობაზე (ორმული შეკეთება და ქუჩების მოხრეშვა-დაგრიდებრა) – 454.0 ათ. ლარი, შუქნიშნების მოვლა-პატრონობაზე - 18.2 ათ. ლარი, საგზაო ნიშნების მოწყობაზე - 0.7 ათ. ლარი, აღმაშენებლის ქუჩის ტროტუარის რეაბილიტაციაზე - 416.7 ათ. ლარი, რუსთაველის რკალის ტროტუარის კეთილმოწყობაზე - 603.5 ათ. ლარი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედნისა და ხიდის ასფალტირების მოწყობაზე - 294.1 ათ. ლარი, ცენტრალური ქუჩების ტროტუარების კეთილმოწყობის პროექტირებაზე (ფარნავაზ მეფისა და კოსტავას ქუჩის ნაწილი) – 15.9 ათ. ლარი. ასევე, ქალაქში მოსული უხვი ნალექის (თოვლი) გაწმენდითი სამუშაოებისა და ქვიშა-მარილის დაყრასთან დაკავშირებით სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 3.9 ათ. ლარი.

IV. გარემოს დაცვა

გარემოს დაცვის ღონისძიებები დაფინანსდა 98.9%-ით. გეგმა ითვალისწინებდა 2748.3 ათ. ლარის ხარჯს, საკასო შესრულებამ შეადგინა 2718.8 ათ. ლარი. მათ შორის:

ა) ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - საკასო შესრულებამ შეადგინა 886.2 ათ. ლარი, რაც გეგმის 98.9%-ს შეადგენს. აღნიშნული თანხა მოხმარდა ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავებას, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას და გაუვნებელყოფას - 751.2 ათ. ლარი, დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას (ამოღება) – 135.0 ათ. ლარი;

ბ) ჩამდინარე წყლების მართვა - საკასო შესრულებამ შეადგინა 1832.6 ათ. ლარი, რაც გეგმის 98.9%-ია. აღნიშნული თანხა მოხმარდა სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა და მაგისტრალური მიწისსამოსიანი არხების გაწმენდის სამუშაოებს - 247.4 ათ. ლარი, სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობას - 195.1 ათ. ლარი, სატუმბო სადგურების ელ. ენერჯის ხარჯებს - 37.5 ათ. ლარი, სანიაღვრე სისტემებისა და სატუმბო სადგურების რეაბილიტაციას - 673.1 ათ. ლარი, დახურული სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაციას - 105.2 ათ. ლარი, ბინების შიდა საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციას 574.3 ათ. ლარი.

V. საბინაო კომუნალური მეურნეობა

საბინაო კომუნალური მეურნეობა - ხარჯმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5885.8 ათ. ლარისა, შეადგინა 5637.1 ათ. ლარი, რაც გეგმის 95.8%-ია. მათ შორის:

ა) ბინათმშენებლობისთვის დაიხარჯა 603.3 ათ. ლარი, რაც გეგმის 93.1%-ია. აღნიშნული თანხა მოხმარდა მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში ლიფტებისა და საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობას - 261.8 ათ. ლარი, ლიფტების რეაბილიტაციას - 107.8 ათ. ლარი, ს/სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს - 68.3 ათ. ლარი, მრავალბინიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაციის პროექტირებას - 12.1 ათ. ლარი, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი ს/სახლების რეაბილიტაციას (ფასადების შეფუთვა და მანსარდის მოწყობა) - 132.2 ათ. ლარი. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 21.1 ათ. ლარი.

ბ) კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის დაიხარჯა 3657.1 ათ. ლარი. გეგმა ითვალისწინებდა 3823.4 ათ. ლარის ხარჯს, ანუ შესრულებამ 95.7% შეადგინა. აღნიშნული თანხა ძირითადად მოხმარდა დიდების მემორიალის, სკვერების, პარკების, ქალაქის ქუჩებისა და მრავალსართულიანი ს/სახლების გამწვანებული ეზოების მოვლა-პატრონობას - 310.5 ათ. ლარი, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმებას (მათ შორის ინვენტარის შეძენა) - 70.1 ათ. ლარი, სახელმწიფო დროშების შეძენას - 7.0 ათ. ლარი, მრავალსართულიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობას - 562.5 ათ. ლარი, მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციას - 2530.0 ათ. ლარი, მშვიდობის ქუჩის N13-ში მდებარე შენობის კაპ. შეკეთებას - 3.0 ათ. ლარი, სკვერებსა და პარკებში სკამების მოწყობას - 22.3 ათ. ლარი, მინი სპორტული მოედნის მშენებლობას - 44.8 ათ. ლარი, გამწვანების სამუშაოებს - 106.0 ათ. ლარი, ბანაობის ამკრძალავი ნიშნების დამზადება-დამონტაჟებისათვის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 0.9 ათ. ლარი.

გ) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციისათვის გეგმით განსაზღვრული იყო 1251.7 ათ. ლარის ხარჯი, დაფინანსებამ შეადგინა 1217.6 ათ. ლარი, ანუ 97.3%. აღნიშნული თანხა მოხმარდა გარე განათების მოვლა-პატრონობას - 199.6 ათ. ლარი, ელ.ენერჯის ხარჯების ანაზღაურებას - 729.6 ათ. ლარი, კუნძულის სანაპირო

ზოლზე განათების მოწყობას - 158.3 ათ. ლარი, პარკებისა და ძეგლების განათების მოწყობას - 0.8 ათ. ლარი, ხიდების განათების მოწყობას - 128.3 ათ. ლარი, რუსთაველის რკალზე არსებული შადრევნის განათების მოწყობისა და რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურებას - 1.0 ათ. ლარი.

დ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 163.0 ათ. ლარის ხარჯს, დაფინანსდა 159.1 ათ. ლარით, ანუ 97.6%-ით. მათ შორის: შინაური მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირება დაფინანსდა 76.1 ათ. ლარით; ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი“ დაფინანსდა 83.0 ათ. ლარით.

VI. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა

ჯანმრთელობის დაცვა

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები დაფინანსდა 621.8 ათ. ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია. მათ შორის:

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვა დაფინანსდა 140.6 ათ. ლარით, ანუ 98.6%-ით.

2. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 481.2 ათ. ლარით. გეგმა ითვალისწინებდა 486.7 ათ. ლარის ხარჯს. მათ შორის:

ა) მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამა დაფინანსდა 327.2 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია;

ბ) სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამის გეგმა განსაზღვრული იყო 33.9 ათ. ლარით, დაფინანსებამ 100.0% შეადგინა;

გ) გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევისა და პროფილაქტიკის პროგრამისათვის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9.4 ათ. ლარი, რაც გეგმის 90.4%-ია;

დ) მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა დაფინანსდა 83.3 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.0%-ია;

ე) განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირების პროგრამის ხარჯმა შეადგინა 27.4 ათ. ლარი, რაც გეგმის 91.3%-ია.

სოციალური დაცვა

სოციალური დაცვის ღონისძიებების ხარჯები განსაზღვრული იყო 1170.8 ათ. ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 1129.9 ათ. ლარი, ანუ 96.5%. მათ შორის:

1. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა დაფინანსდა 435.8 ათ. ლარით. გეგმა ითვალისწინებდა 443.3 ათ. ლარის ხარჯს. მათ შორის:

ა) მარტოხელა დედათა დახმარების პროგრამის გეგმა განსაზღვრული იყო 38.0 ათ. ლარი, დაფინანსებამ შეადგინა 35.3 ათ. ლარი;

ბ) ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრის“ პროგრამა დაფინანსდა 89.9 ათ. ლარით, ანუ 98.3%-ით;

გ) 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 5.5 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია;

დ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 12.8 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია;

ე) ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 37.6 ათ. ლარით, რაც გეგმის 96.4%-ია;

ვ) მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარების პროგრამა დაფინანსდა 207.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია;

ზ) 5 და მეტევილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 32.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია;

თ) უსინათლოების მატერიალური დახმარების პროგრამა დაფინანსდა 14.8 ათ. ლარით, რაც გეგმის 95.5%-ია.

2. სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას (უფასო სასაბუღალტრო დაფინანსების პროგრამა) დაფინანსდა 91.7%-ით, ანუ 201.7 ათ. ლარით.

3. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში დაფინანსდა 462.3 ათ. ლარით, რაც გეგმის 96.8%-ია. მათ შორის:

ა) კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების პროგრამის გეგმა განსაზღვრული იყო 35.7 ათ. ლარი, დაფინანსებამ შეადგინა 27.2 ათ. ლარი, რაც გეგმის 76.2%-ია;

ბ) საქალაქო ავტობუსების სუბსიდირების ხარჯები დაფინანსდა 80.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია;

გ) სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების პროგრამა დაფინანსდა 41.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 91.1%-ია;

დ) ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი“ დაფინანსდა 275.3 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია;

ე) ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“ დაფინანსდა 37.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 94.0%-ია.

4. სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა დახმარების გაწევისათვის დაიხარჯა 30.1 ათ. ლარი.

VII. დასვენება, კულტურა და რელიგია

დასვენება, კულტურა და რელიგია - დაფინანსდა 86.8%-ით, ანუ 4438.4 ათ. ლარის ნაცვლად დაფინანსებამ 3852.7 ათ. ლარი შეადგინა. მათ შორის:

ა) სპორტის სფერო

1. სპორტული სკოლები (სულ 13 სკოლა) დაფინანსდა 99.1%-ით. საკასო შესრულებამ 1155.8 ათ. ლარი შეადგინა.

2. ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“) დაფინანსდა 600.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია.

3. ნინო ჟვანიას ქუჩაზე მდებარე სპორტული დარბაზის კაპ. შეკეთება დაფინანსდა 99.4%-ით, ანუ 15.9 ათ. ლარით.

4. სხვადასხვა ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 76.8%-ით, ანუ საკასო შესრულებამ 63.7 ათ. ლარი შეადგინა.

5. სტადიონის რეაბილიტაცია, რომლის გეგმა იყო 515.5 ათ. ლარი, არ დაფინანსებულა, რაც განპირობებულია ტენდერის ჩაშლით (კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაწყვეტით), მათი კონტრაქტორის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით და სასამართლო დავებით.

ბ) კულტურის სფერო

1. სახელოვნებო სკოლები (სულ 4 სკოლა) დაფინანსდა 99.9%-ით, ანუ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 618.0 ათ. ლარისა, შესრულებამ 617.2 ათ. ლარი შეადგინა.

2. ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება“ დაფინანსდა 99.8%-ით, ანუ 126.6 ათ. ლარით.

3. ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საგამოფენო დარბაზი“ დაფინანსდა 99.3%-ით, ანუ 76.3 ათ. ლარით.

4. ს.ს.ი.პ. „ქ. ფოთის ვალერიან გუნის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ დაფინანსდა 99.5%-ით, ანუ 838.4 ათ. ლარით.

5. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები დაფინანსდა 71.7%-ით, ანუ 89.3 ათ. ლარით.

გ) რელიგიის სფერო

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძარი დაფინანსდა 100.0%-ით, ანუ 120.0 ათ. ლარით.

დ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი“ დაფინანსდა 149.5 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია.

VIII. განათლება

განათლება - დაფინანსდა 99.9%-ით, ანუ 2273.5 ათ. ლარის ნაცვლად, საკასო შესრულებამ 2270.7 ათ. ლარი შეადგინა. მათ შორის:

1. სკოლამდელი აღზრდა

ა) ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღზრდელო გაერთიანება“ დაფინანსდა 2139.1 ათ. ლარით, ანუ 99.9%-ით;

ბ) სკოლამდელი სააღზრდელო დაწესებულების რეაბილიტაციის პროექტის გადაანგარიშება დაფინანსდა 4.5 ათ. ლარით, ანუ 100.0%-ით.

2. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში (ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი“) დაფინანსდა 127.1 ათ. ლარით, რაც გეგმის 98.5%-ს შეადგენს.

IX. ვალდებულებების კლება (საშინაო სესხები)

ვალდებულებების დაფარვა დაფინანსდა 148.1 ათ. ლარით.

2016 წელს გაწეული გადასახდელები მუხლობრივ ჭრილში

- “შრომის ანაზღაურების” მუხლი დაფინანსებულია 99.7%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 2967.5 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებამ 2959.8 ათ. ლარი შეადგინა;
- “შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება” დაფინანსებულია 99.9%-ით, გეგმა იყო 229.2 ათ. ლარი, დაფინანსებამ 228.9 ათ. ლარი შეადგინა;
- “მივლინების” ხარჯები დაფინანსებულია 96.3%-ით, გეგმა იყო 32.7 ათ. ლარი, ფაქტიურად გაწეულია 31.5 ათ. ლარის ხარჯი;
- “ოფისის ხარჯები” დაფინანსებულია 94.8%-ით. გეგმა განსაზღვრული იყო 259.9 ათ. ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 246.3 ათ. ლარი შეადგინა;
- “წარმომადგენლობითი ხარჯები” დაფინანსებულია 14.5 ათ. ლარით, ანუ 83.8%-ით;
- „რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები“ დაფინანსდა 2.3 ათ. ლარით, ანუ 100%-ით;
- “ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები” დაფინანსებულია 88.0%-ით, გეგმით განსაზღვრული იყო 119.6 ათ. ლარის ხარჯი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 105.2 ათ. ლარი შეადგინა;
- „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ დაფინანსდა 97.4%-ით, გეგმით განსაზღვრული იყო 3034.4 ათ. ლარის ხარჯი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 2954.0 ათ. ლარი შეადგინა;
- “პროცენტის” ხარჯი დაფინანსდა 99.7%-ით, ანუ 68.5 ათ. ლარით;
- “სუბსიდიების” ხარჯი დაფინანსდა 99.3%-ით, გეგმით განსაზღვრული იყო 5804.3 ათ. ლარის ხარჯი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 5762.1 ათ. ლარი შეადგინა;
- „გრანტების“ ხარჯი დაფინანსდა 1279.4 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია;

- „სოციალური უზრუნველყოფის“ ხარჯი დაფინანსდა 97.0%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 1104.1 ათ. ლარით, ფაქტიურმა დაფინანსებამ 1071.1 ათ. ლარი შეადგინა;

- „სხვა ხარჯების“ გეგმა დაფინანსდა 95.6%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 1942.6 ათ. ლარით, ფაქტიურმა დაფინანსებამ 1856.3 ათ. ლარი შეადგინა;

- „არაფინანსური აქტივების ზრდა“ დაფინანსდა 87.9%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 5926.6 ათ. ლარით, ფაქტიურმა დაფინანსებამ 5211.1 ათ. ლარი შეადგინა;

- „ვალდებულებები“ დაფინანსდა 8.4%-ით, ანუ ფაქტიურმა დაფინანსებამ 183.4 ათ. ლარი შეადგინა.

სულ 2016 წლის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გადასახდელების გეგმა შეადგენდა 24977.6 ათ. ლარს, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 21974.4 ათ. ლარი, ანუ 88.0%.

მერიის მუნიციპალიტეტის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის შესწავლით დავადგინეთ, რომ იგი ადეკვატურია მერიის მუნიციპალიტეტის საქმიანობის მასშტაბებთან.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის შესწავლით დავადგინეთ შემდეგი:

1. დაცული არის სამეურნეო ფაქტების დროში გამოიჯვინის პრინციპი ე.ი. სამეურნეო ოპერაციები

აისახება იმ საანგარიშებო პერიოდში, რომელშიც ფაქტობრივად განხორციელდა.

2. პირველად აღრიცხვაში ოპერაციები დაფიქსირებულია სწორი თანხებით.

3. სამეურნეო ოპერაციების ასახვის დროს დაფიქსირებულია მათი არსებითი დეტალები.

ჩვენ გავესაუბრეთ ბუღალტერიის მუშაკებს, შევისწავლეთ მათი კვალიფიკაცია, გამოცდილება და დავრწმუნდით მათ კომპენტენტურობაში, პროფესიონალიზმსა და პატიოსნებაში. ამასთან ერთად შემოწმების პერიოდში ზეპირი ინფორმაციის მიღების მიზნით გამოვიტოხვა - საუბარი ჩავატარეთ ა) საფინანსო სამსახურის უფროსთან ბატონ ვასილ თოდუასთან; გ) მუნიციპალიტეტის შესყიდვების განყოფილების უფროსთან ქალბატონ ნანა გიგინეიშილთან. დავადგინეთ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების არსებითობის დონე, რისთვისაც ვიხელმძღვანელებთ არსებითობის დონის დადგენის ასს 320 - „არსებითობა აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების დროს“ პრინციპების საფუძველზე შემუშავებული შიდა საფირმო სტანდარტით (დამტკიცებული შპს აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტის“ სააუდიტორო შემოწმების კოლეგიის (#2 23.01.2012 წ.) სხდომაზე, რომლის თანახმადაც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშების მონაცემების საფუძველზე განვსაზღვრეთ არსებითობის ფაქტები და დავადგინეთ შემდეგი:

1. ბუღალტრული აღრიცხვის ყველა ჩანაწერი დასტურდება სათანადო გამამართლებელი და პირველადი დოკუმენტებით, რომლებიც გაფორმებულია მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.
2. ინვენტარიზაციის ჩაუტარებლობის გამო არ არის აღრიცხული ყველა გძელვადიანი აქტივი და მატერიალური მარაგები.
3. არ არის დაცული ინფორმაციის შესაბამისობის სააღრიცხვო პრინციპი. ე.ი. არ წარმოებს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა. ანგარიშების ნაშთები და ბრუნვები არ არის გადატანილი ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრებიდან(რომლებიც არ დგება) მთავარ წიგნში.(რომელიც არ დგება).
4. პირველადი დოკუმენტების მონაცემთა გადატანა არ ხდება ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრებში.
5. არ არის შედგენილი ფინანსური ანგარიშგება.

ჩვენ მოვიპოვეთ შესაბამისი მტკიცებები კონკრეტული კატეგორიების, ოპერაციებისა და მოვლენების შესახებ შესამოწმებელ პერიოდში და დავადგინეთ:

1. ბუღალტრულად აღრიცხული ოპერაციები და მოვლენები(პირველადი აღრიცხვა) უკვე მოხდა და დაკავშირებული არის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან.
2. ყველა ის ოპერაცია და მოვლენა რომელიც დოკუმენტურად უნდა აღრიცხულიყო, აღრიცხულია.
3. დოკუმენტურად აღრიცხული(პირველადი აღრიცხვა) ოპერაციებთან და მოვლენებთან დაკავშირებული თანხები და მონაცემები აღრიცხულია სათანადოდ.

ჩვენს მიერ შემოწმებულ ყველა დოკუმენტში(პირველადი აღრიცხვა), როგორც ფორმის ასევე შინაარსის მიხედვით უჩვეულო გადახრები არ გამოვლინდა.

დამტკიცებული საშტატო ერთეულებისა და თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად დარიცხულია ხელფასი, რომელზედაც დაკავებულია საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მთლიანად გადარიცხულია სახელმწიფო ბიუჯეტში. ასევე ხელფასიდან დაკავებულია დაზღვევა, რომელიც მთლიანად გადარიცხულია დანიშნულებისამებრ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ძირითად სამეურნეო ოპერაციებს ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

დასკვნები და რეკომენდაციები

აღნიშნულის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. ვინაიდან მერიაში არ წარმოებს დოკუმენტების ბუღალტრული დამუშავება(პირველადი დოკუმენტების მონაცემების გადატანა საბუღალტრო რეგისტრებში, მთავარი წიგნში და ფინანსურ ანგარიშგებაში) საწყისი ნაშთების არ არსებობის გამო, აღნიშნული საკითხის

მოსაგვარებლად აუცილებლობას წარმოადგენს მოხდეს მერიის ფინანსური ანგარიშების

რეტროსპექტიული გადაანგარიშება და მისი გამოყენება ფინანსური ანგარიშგებისათვის.

2. რეტროსპექტიული გადაანგარიშების შემდეგ შედგეს ფინანსური ანგარიშგება (ყურადღება მიექცეს ანგარიშგებაში ფინანსური ინფორმაციის ასახვის სიზუსტეს, განსაკუთრებით არაფინანსური აქტივების რეალური შეფასებითი თვალსაზრისით).

3. განისაზღვროს მერიის მუნიციპალიტეტის სააღრიცხვო პოლიტიკა (საფინანსო-სააღრიცხვო სამსახურების და თითოეული სამუშაო ადგილის მიხედვით უფლება-მოვალეობების გამიჯვნა).

4. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციაში მოხდეს ცვლილებები: ბუღალტრული აღრიცხვა უნდა იწარმოოს არა დარგობრივ ჭრილში, არამედ აღრიცხვის უბნების (შრომის ანაზღაურების, ძირითადი აქტივების, ფულადი აქტივების, ფინანსური ანგარიშგების წარმოების და ა.შ.) მიხედვით. საბუღალტრო განყოფილება შევიდეს საფინანსო სამსახურის შემადგენლობაში.

5. დადგენილი იქნას და ბრძანებით გაფორმდეს მუნიციპალიტეტის მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა სია (გაფორმდეს მათთან ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე).

6. ჩატარდეს სრული ინვენტარიზაცია მუნიციპალიტეტის ქონებაზე, ვალდებულებებსა და მოთხოვნებზე.

7. ზემოთ აღნიშნული ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნას მერიის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპებში და შპს-ებში. განსაკუთრებით ინვენტარიზაციის ჩატარების თვალსაზრისით.

აუდიტორული შემოწმების
ჯგუფის ხელმძღვანელი:

თამაზ ბუკია

შპს აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტი“-ს
აუდიტორ-დირექტორი, ეკონომიკის
აკადემიური დოქტორი, პროფესორი:

მამუკა ზარანდია